ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის (2010/2011)

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2010/2011 სასწავლო წლისთვის ზაარლანდის უნივერსიტეტში სტიპენდიების მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის III, IV, V, VI სემესტრისა და 4–სემესტრიანი მაგისტრატურის I და II სემესტრის სტუდენტებს (ერთთვიანი ენის კურსები და სამთვიანი სტიპენდია), ასევე თსუ დოქტორანტებს (ერთთვიანი კვლევითი სტიპენდია).

საჭირო საბუთები:

- ❖ ელექტრონულად შევსებული ფორმულარი (2 ეგზემპლარი)
- ❖ ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენაზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- ❖ ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან ქართულ ენაზე (ეხებათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს)
- ❖ პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- ❖ ორი ფერადი ფოტო–სურათი ზომით 3/4 (გთხოვთ, დააკრათ ფორმულარებს)
- ❖ გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ❖ ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ❖ მაგისტრის დიპლომის ასლი და თარგმანი გერმანულ ან ინგლისურ ენაზე (ეხებათ მხოლოდ დოქტორანტებს)
- ❖ თსუ–ში მუშაობის დამადასტურებელი ცნობა ქართულ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ❖ ინფორმაცია მიმღებ უნივერსიტეტში შესაბამისი სასწავლო მიმართულების არსებობის შესახებ **(www. uni-saarland.de)**

კონკურსში გამარჯვებულები მიიღებენ სტიპენდიას *(ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები–650 ევროს თვეში, დოქტორანტები–750 ევროს). გაცვლითი პროგრამა არ ანაზღაურებს მგზავრობის, დაზღვევის, საცხოვრებელი ბინისა და კვების ხარჯებს).*

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადა: 2010 წლის 30 ნოემბერი, 12 საათი</u>

(თსუ II კორპუსი, ოთახი 237, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, ნანა შეითნიშვილი)

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B1/B2 დონე); II ეტაპი – გასაუბრება

შენიშვნა:	**ტესტირებისა და გასაუბრების თარიღი გამოქვეყნდება თსუ ვებ–გვერდზე. ტესტირება არ ეხებათ დოქტორანტებს. აპლიკანტები უნდა ფლობდნენ გერმანულ ენას (გერმანული ენის არ ცოდნის შემთხვევაში კონკურსზე დაიშვებიან მხოლოდ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ინგლისური ენის მცოდნე დოქტორანტები). დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!**

კონკურსზე არ დაიშვებიან 2009/2010 სასწავლო წლის ზაარლანდის კონკურსის გამარჯვებულები!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.25 02 12

26.10.2010